პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა 21 მაისი 1978 წ. № 119 (17163) ფასი 2 კაპ.

საგანგებო ღონისძიება მეტი ეფექტიანობისა და ეკონომიკურ ბიბლიოთეკაში

პატრიოტულ თაოსნობებს — ფართო გზა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა, რომელშიც განიხილა ეს საკითხი. თუ როგორ ინერგება და ვრცელდება ინიციატივები და თაოსნობანი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური და ნავთობქიმიური, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და საფეიქრო კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებში. ინფორმაციები გააკეთეს დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეებმა ი. ჭუმბურიძემ, გ. პოლოლიკაშვილმა, დ. ბაკურაძემ, ნ. ლაკიამ და კ. ქრისტესიაშვილმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ინიციატივათა და თაოსნობათა დანერგვამ და შემდგომმა გავრცელებამ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

ბათუმელი მანქანათმშენებლების, ფოლად-თუჯხამსხმელო ქარხნის მუშის, სოციალისტური შრომის გმირის გ. კერტანიძის მეკოპეთა ბრიგადის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კომიტეტების თაოსნობანი, სარატოველთა და ზაპოროჟიელ ქიმიკოსთა ინტერნაციონალის შრომიერთა და ურალელ მანქანათმშენებელთა ინიციატივები ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების განვითარების სტრატეგიული მიმართულებანი გახდა. ეს თაოსნობანი თანთანად გავრცელდა შრომითს კოლექტივებში, ხშირად კი მრეწველობის მთელ დარგებშიც. საჭირო გახდა პროგრესული ცვლილებანი მართვის დარგში, შრომისა და დაჯილდოვის ორგანიზაციაში. მათ დიდი ზემოქმედება მოახდინეს ეკონომიკის თვალსაზრისითაც, ხელი შეუწყვეს კოლექტივის ცხოვრების ბევრი მხარის კრიტიკულ შეფასებას.

220-ზე მეტ საწარმოში დაინერგა ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობა, რომ იბრძოლონ თითოეულ ავადმყოფობ[illegible] საწარმოო თარეთობზე პროდუქციის მაქსიმალური ანარეკლი[illegible] ამავე დროს გაზარდონ ფონდუკუნვები და შრომის ნაყოფიერება. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის, ანართმეული ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხანაში, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, შიმოქმედებითად ეყენებენ თბილისის თოლად-თოჯსამსხმელო ქარხნის მაქნილ, გ. კერტანიძის მეკოპეთა ბრიგადის ინიციატივები. მათი თაოსნობით რესპუბლიკაში 1000-ზე მეტი ბრიგადა მუშაობს, რომელთა წევრების საერთო რიცხვი 50 ათასს აღემატება.

ბევრი მიმდევარი ჰყავს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ფეხსაცმლის თაბრიკა „ისნის“ გამომკვეთთა ბრიგადის ხელმძღვანელს გ. რიმნისთვეს. მარტო 1977 წელს ტრიკოტაჟის მრეწველობაში დაიზოგა 14.2 ტონა ნართი. ბამბეულის მრეწველობაში — 106 ტონა ბამბის ბოჭკო. ამრიშუმის მრეწველობაში — 3.3 ტონა პარკი. 1.9 მილიონი კვადრატული მეტრი სხვადასხვა ქსოვილი თითქმის ინიციატორმა ამ ხნის მანძილზე დაზოგა 57.600 კვადრატული დეციმეტრი. მთლიანად ბრიგადამ კი 386.100 კვადრატული დეციმეტრი ტყავსაძარცული. „ისანში“ მოეწყო ხალხური სკოლა ამ მოწინავე გამოცდილების შესასწავლად.

რესპუბლიკაში თარეთობ გამოიხმაურნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის პატრიოტული ინიციატივას — „სოციალისტური დისციპლინის გამმატიკებს — მოშორი ვართ, არც ერთი ბამრჩენილი და ულდისციპლინო ჩვენს გვერდით“. და ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კომიტეტების, ინიციატივას — „ეიმოშაოთ ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი შრომითი კოლექტივები“. შნ-შნელოვნად შემცირდა ცალიკეულნი. ცვლებშიდა მოცდენის რიცხვი და სამრთალო დროის დანაკარგები.

ყველა ეს თაოსნობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რეკომენდებულია მრეწველობის, მშენებლობის ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგებში დასანერგად.

კომისიის სხდომაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა ლენინის საწარმოო გაერთიანება „ელექტრონში“ შემქმნილი პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის გამოცდილების დანერგვის თაობაზე. აღინიშნა, რომ ეს სისტემა ჯერ კიდევ მეტად ნელა ინერგება ჩვენს რესპუბლიკაში. ბევრი ნაკლია აგრეთვე მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ კოლექტივის იმ გამოცდილების გავრცელებაში, რომელიც ითვალისწინებს „თითოეულ მუშას მეათე ხუთწლეულის შრომის ნაყოფიერების გადიდების ინდივიდუალური გეგმა“.

ქმედითი სოციალისტური შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი პირობა მუშაობის ისეთი ფორმებისა და ხერხების შერჩევა, რომლებიც ხელს უწყობს მოცემული წარმოების კონკრეტულ პირობებში უმეტესი საბოლოო შედეგის მიღებას. აღინიშნა, რომ ჰაერში გამოკიდებული რიგი ნებისმიერი თაოსნობა, თუ მას არ განმტკიცებენ შესაბამისი პოლიტიკურ-ორგანიზატორული და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობით, მისი დანერგვისა და შემდგომი გავრცელებისადმი ყარად მოგვარებული კონტროლით.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელებისათვის მუშაობა უნდა წარმართოს ზუსტი დანერგვის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების რეზერვებისა და მათი გამოყენების ზუსტის მაქსიმალურ გამოვლენას. საწარმოთა ხელმძღვანელები პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველწლიურად უნდა ამუშავებდნენ და ახორციელებდნენ კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე მოწინავე გამოცდილების დანერგვის კალენდარულ გეგმებს. ამასთან აღინიშნა ხელმძღვანელებისა და მასალოდნელ ეკონომიკურ ეფექტს, რეგულარულად უნდა ეწყობოდეს საწარმოთ-ტექნიკური და ეკონომიკური კონფერენციები. თათბირები, წამყვან პროფესიათა მუშების მოწინავე გამოცდილების სკოლები. სემინარები, მოწინავე გამოცდილების გასაზიარებლად. ყველგან უნდა გავრცელდეს თბილისის დამტროვის სახელობის საავიაციო და ლენინის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხნების, აგრეთვე ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კარგი პრაქტიკა. ხადაც წარმატებით მუშაობენ მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვისა და პროპაგანდის საზოგადოებრივი საბჭოები.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ აღნიშნა ინიციატივათა და თაოსნობათა დანერგვისა და გავრცელებისათვის მუშაობაში მიღწეული წარმატებანი და განაცხადა, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშაობა ამ მიმართულებით, აღიკვეთოს ფორმალიზმის ფაქტები. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა უფრო საფუძვლიანად უნდა იმუშაონ მოწინავე საწარმოო გამოცდილების ორგანიზაციაზე, პროპაგანდასა და დანერგვაზე.

ბევრი რამ უნდა გაკეთონ ამ მიმართულებით ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის, ხაშურის მექანიკური ქარხნის, ბორჯომის მინის ქარხნის, მახარაძის ლუდის ქარხნის, თბილისის ქარხანა „ელექტროზოლიტის“, თბილისის ბეწვეულის ფაბრიკის, სოხუმის № 6 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის, მარნეულის № 1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნისა და სხვა საწარმოების პარტიულმა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სადაც არ არის მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვისა და შემდგომი გავრცელების მწყობრი სისტემა.

სხდომაზე გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის წევრები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეჯრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაქე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ზ. დვალი.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

რესპუბლიკურმა კომისიამ დასახა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პატრიოტულ ინიციატივათა თაოსნობათა დანერგვისა და გავრცელების შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაციები.

გუშინ პირველ შაბათობაზე

ქალაქი მხარში ამოუდგა სოფელს

საქარხნო რაიონის წვლილი

— **გუშინ** შაბათობაზე ჩვენი რაიონის 2.000-ზე მეტი მუშა-მოხამსახურე შრომობდა გარდაბნის რაიონის სათიბებში, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველმა მდივანმა რ. **გოგლაძემ**, — ლოქნინის ხეივიდან და აეროპორტის მიდამოებიდან 23 ავტომანქანა მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ეზიდებოდა თივას. გარდაბნის რაიონის კიროვისა და გამარჯვების ხაბჭოთა მეურნეობებში.

საკვების დამზადების პირველ შაბათობაზე ორგანიზებული შრომით თავი იჩაბალიან დამტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, საწარმო გაერთიანება „ელექტროხელსაწყოს“, გაერთიანება „განთიადის“, „საქჰიდროენერგომშენის“, მოდელის ფიზიკაკლის თაბრიკის, რაიონის ხაჟარმო-დაწესებულებათა მშრომელებმა. სულ შაბათობაზე 70 ტონამდე მწვანე მასა დამზადდა. წლის ბოლომდე კიდევ მოეწყობა შაბათობები და ეს მაჩვენებელი 1.000 ტონას მიაღწევს.

გაორკეცებული შრომით

უკანასკნელ ღამეებში გამოიდარა და ბალახი წამოიზარდა, ნათესი ბალახები ბეგრად მოსათიბია. 500 ჰექტარზეა ასაღები შვრია. პირუტყვის ყუთაისი საკვების ფასდგრაფიებლად რაიონის ბევრი მშრომელი გამოეიდა პირველ შაბათობაზე, — თქვა ხალბაზეში საქართველოს კომპარტიის ჩხორწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. **ქაჯაიამ**. — ხაკვებმომპოვებლებთან ერთად შაბათობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ინჟინერ-ტექნიკოსებმა, ექიმებმა, ინჟინერ-ეკონომისტებმა, ბუღალტრებმა, ბიბლიოთეკარებმა,

რიბინსკს გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენი

(დასასრული)

ციალიზმის შესაძლებლობათა სრული რეალიზაცია, — ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — არის, თუ გნებავთ, ჩვენი დღეების პათოსი. სწორედ ეს განსაზღვრავს იმ პასუხისმგებლობის დონესაც, რომელიც დღეს ისტორიამ დაგვაკისრა".

ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის საკვანძო, ყოველსმომცველი პრობლემაა, რომლის პრაქტიკულ გადაწყვეტას უმდა თანქვემდებარდეს დაგეგმვისა და მართვის ორგანოების, თითოეული ხელმძღვანელის, წარმოების მეთაურის, სპეციალისტის — ყველა მშრომელის საქმიანობა.

თავის დროზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რიბინსკის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება მრეწველობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში. ბეჭითად მუშაობენ რა ამ მიმართულებით, შრომითმა კოლექტივებმა პარტიულ ორგანიზაციათა მეთაურობით სერიოზული შედეგები მოიპოვეს. წარმოების მოცულობის მთელი მატება მიმდინარე ხუთწლიდის პირველ ორ წელიწადში უზრუნველყოფილ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. და ამა წლის ოთხ თვეშიც იგი თქვენმა უფროს მეტად გაიზარდა, ვიდრე მთელ ქვეყანაში. რიბინსკი, ისევე როგორც ბარნაული, სამეთოლო მოტორმშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრია. თამბირზე, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გაიმართა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მოტორმშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ რიბინსკელ მოტორმშენებლებს აქვთ სამეშაოთა კარგი მართვა-მეტი, ბევრი სასარგებლო წამოწყება. განსაკუთრებით წელიწადში ბევრი ძრავის მოტორესურსი რამდენჯერმე გაიზარდა. ბევრი რამ კეთდება ტრაქტორის დიზელების ხარისხის გაუმჯობესებისათვისაც.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად დიდ მუშაობას ეწევა ჩვენს ქვეყანაში ცნობილი იაროსლავლის ოლქის გაერთიანება „ავტოდიზელ ი ს" მოტორმშენები ლ ი ა კოლექტივიც.

ყველაფერი ეს ძრავს სწორედ პრაქტიკულად ეფექტურობა და ხარისხის და, რა თქმა უნდა, მიღწეული ზღვარი არ არის.

ეკონომიკური, სოციალ ურ ი, მეცნიერული და კულტურული პროგრესის მწვერვალებზე ჩვენი ქვეყნის ასვლა, საბჭოთა კავშირის უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი პარტიის ლენინური პოლიტიკის, ჩვენი ხალხის თავდადებული ბრძოლისა და იმშენებლობითი შრომის შედეგია.

ჩვენ, კომუნისტები, მუდამ ვხელმძღვანელობთ არა იმით, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, არამედ იმით, რაც უნდა გაკეთდეს. ჩვენ ბევრი კარგი თოსუნობა გვაქვს, რომლებიც უკვე შემოწმებულია პრაქტიკით და დიდ ეკონომიურ უკუგებასაც იძლევა. არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ახლის, მოწინავის გაჩენელებასა და დანერგვაზე დღეითადაგ და გულმოდგინე

ეკ ეკ ალ ...

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსის „ოქროკუდი" განხორციელება გულისხმობს ბრძოლას დანაკარგებს წინააღმდეგ, ლითონის, სათბობის, ელექტროენერგიის, ცემენტისა და სხვა მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. განსაკუთრებით დიდი უურადღება სჭირდება ტრანსპორტის მუშაობისა და კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესებას. ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და სხვა პარტიულ დოკუმენტებში არაერთგზის აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალური დაბანდების დაჩქარებას შენებლობის მასშტაბის შემცირებას, ასამუშავებელი ობიექტების დადგენილ ვადებში ამოქმედებას. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა გაკეთონ რიბინსკელებმაც.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები დღეიდან უნდა უთმობდნენ ყურადღებას ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სამედიცინო მომსახურების, კეთილმოწყობის, საქალაქო ტრანსპორტას. ერთი სიტყვით ყველა ამ სფეროს მუშაობის გაუმჯობესებას, რომლებიც მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებებსა და ყოფაცხოვრებას უკავშირდება.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ ყველაფერი, რაც პარტიამ დასახა, უფრო ენერგიულად იმუშაონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მასებთან პარტიის მუდმივი კავშირი წარმოადგენს ჩვენი წყობილების ძლიერებისა და უძლეველობის წყაროს.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს საბჭოთა ადამიანების ორგანიზებულობის, შეგნების, კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონე. აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას.

თავის მრავალმხრივ იდეურ-ღონისძიებათაშორის მუშაობაში პარტია ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ იდეებს, კომუნისტური მშენებლობის ცოცხალ პრაქტიკას. პარტიის იდეურ ცხოვრებაში ახალი დიდი მოვლენა იყო ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა" და „აღორძინება", მისი სიტყვა სრულიად საკავშირო ალკ XVIII ყრილობაზე, რომლებსაც უდიდესი ინტერესით შეხვედრენ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

შემდეგ ა. პ. კირილენკო შეეხო საერთაშორისო საკითხებს. მან ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობის პოლიტიკა ჩვენი სახელმწიფოს პრინციპული პოლიტიკაა, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა და თვით ჩვენი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების არსიდან გამომდინარეობს. და ამ მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი, სიმპათიითა და ხოლიდარობით ეკიდება მთელი პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანი. ეს გახლავთ მისი ძალა და უძლეველობა.

დასასრულ ამხ. ა. პ. კირილენკომ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ რიბინსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში მაღალი ჯილდო მიანიჭა ქალაქის დროშას.

ამხანაგ ა. პ. კირილენკოს სიტყვა დამსწრეებმა დიდი უურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში.

სხდომაზე გამოვიდნენ სკკპ რიბინსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ა. ზარამენსკი, სოციალისტური შრომის გმირი, პოლიგრაფიული მანქანების ქარხნის ამწყობი ზინინალი ა. ვ. ბარაშკოვი, სოციალისტური შრომის გმირი, მოტორმშენებლობის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი პ. თ. დერეუნოვი, პარტიისა და შრომის ვეტერანი ა. ნ. შიროკოვი, რიბინსკის საფეიაციო ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მ. მასლენიკოვა. მათ გულითადად მადლობა გადუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ქალაქის მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებების მაღალი შეფასებისათვის.

ორატორებმა განაცხადეს, რომ ორდენოსან რიბინსკის მშრომელები კიდევ უფრო შეიდრეკ შეაკავშირებენ თავის რიგებს კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო, რომელსაც მეთაურობს გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნას, უნარს და ენერგიას მოახმარენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას, ახალ წარმატებებს მიაღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

სოფიაში გაიხსნა მოსკოვის დღეები

სოფია, 19 მაისი. (საკდესი). დღეს სოფიის „უნივერსიადის" დარბაზში გაიხსნა მოსკოვის დღეები.

დამსწრენი მჭახარე ტაშით შეხვედნენ კრების პრეზიდიუმში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების გამოჩენას, მოსკოვის ღონეგაციას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი. პრეზიდიუმში იყო ბულგარეთის სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა, ბულგარეთის კომპარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. იორდანოვმა და ვ. ვ. გრიშინმა

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲗ

მაოისტთა სიტყვა და საქმე

დამასკო. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთში ჩიხეთის ახლანდელი პოლიტიკური კურსი აშკარად მიზნად ისახავს არაბთა ერთიანობის შერყევას, არაბთა პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული ძალების და უწინარეს ყოვლისა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გათიშვასა და ლიკვიდაციას, წერს ჟურნალი „სუფტ ფალესტინი", რომელიც სირიის დედაქალაქში გამოდის.

პეკინმა, აღნიშნულია სტატიაში, მოიწონა ა. სადათის ვიზიტი ისრაელში. პეკინის პრესა ყოველნაირად ასხამს ხოტბას ეგვიპტის პრეზიდენტის ღვარძლიან გამოხდომებს სსრ კავშირის — იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მუდამ არაბი ხალხების ერთგული მეგობარი იყო ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ყველა კრიზისული სიტუაციის დროს. პეკინის ასეთი მოქმედება, ხაზს უსვამს ჟურნალი, არაბულ სამყაროში არყევს ჩინეთისადმი ნდობას.

ანტისაბჭოურობით დაბრმავებული ჩინეთის ლიდერები ცდილობენ მოურიგდნენ არაბულ სამყაროში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტიიმპერიალისტური მოძრაობისადმი მტრულ ძალებს, განაგრძობს „სუფტ ფალესტინი". პეკინში უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, თითქოს ახლო აღმოსავლეთში „ერომანეთს ებრძოდეს ორი ზესახელმწიფო", მაგრამ არც ერთი კეთილი სიტყვით არ იხსენიებენ არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და არაბთა მისწრაფებებს. რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, ჩინეთი მხარდაჭერას უწევს პალესტინელთა მხოლოდ ერთ, თანაც არაპროგრესული მართულების დაჯგუფებას.

უთანხმოებანი ძლიერდება

ლონდონი, (საკდესი). ვაშინგტონის ცდები ზეგავლენა მოახდინოს თურქეთზე, რათა უარი თქმევინოს საერთაშორისო საკითხებში დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებაზე, უშედეგ გავლენას მოახდენს მდგომარეობაზე ბლოკის შიგნით, ასეთ დასკვნამდე მიდის ინგლისური პრესა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა პრეზიდენტ ჯ. კარტერისათვის გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ თურქეთი უარს ამბობს იკისროს რაიმე ვალდებულება ნატომი თავისი მომავალი სამხედრო როლის მსშტაბის შესახებ. ანკარა არ დათანხმდა აგრეთვე ხელი მოაწეროს ამ საზეიმო ბლოკის ეგრეთ წოდებულ „მომავლისადმი რწმენის დეკლარაციას", რომლის ხელმოწერა ვაშინგტონის მიერ განზრახული იყო ნატოს წევრ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის თათბირზე მაისის დამლევს.

როგორც გაზეთი „ტამესი" აღნიშნავს, ხსენებული დოკუმენტის ხელმოწერა ერთი წლით გადადდება.

თურქეთის პოზიცია

ანკარა, 19 მაისი. (საკდესი), სახალხო რესპუბლიკის პარტიის სპპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე გამოსვლისას, მისმა ლიდერმა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა განაცხადა, რომ მთავრობა ამუშავებს ეროვნული თავდაცვის ახალ კონცეფციას. ამ კონცეფციას საფუძველად უდევს უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი პოზიტიური ცვლილებები, თქვა მან.

თურქეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ ახალ კონცეფციას მოაყენება ცვლილებები თურქეთის საშინაო პოლიტიკის დარგში.

რამდენიმე დღის წინათ ბ. ეჯევითმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობა, რომ თურქეთი უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს უახლოესი 10-15 წლისათვის გათვალისწინებულ ნატოს თავდაცვის გრძელვადიან პროგრამაში.

მთავრობის ეს გადაწყვეტილება აგრეთვე დაადასტურა თურქეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ჰ. ე. ოზიკმა ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ახალი სახეობის ბირთვული იარაღის შექმნის გეგმების წინააღმდეგ რომ გამოდის, ინგლისის პროგრესულ საზოგადოებრიობას თავის ძირითად ამოცანად მიაჩნია ის, რომ მიაღწიოს ნეიტრონული ბომბის სრულ აკრძალვას. იგი გადაპრით მოითხოვს ერთხელ და სამუდამოდ აიღონ ხელი მასობრივი მოსპობის ამ იარაღზე. კანონგარეშე გამოაცხადონ იგი.

* * *

სურათზე: ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ პეტიციაზე ხელმოწერის შეგროვება ლონდონში.

სპუტნიკის ფოტო.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ისრაელი აგრეხორები, რომლებსაც მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფოები „დახმარების" ხაბაბით დიდძალ იარაღს აწვდიან, თვითონ ვაჭრობენ ამ იარაღით მხოფლიოს სხვადასხვა რაიონში.



ისრაელი „ქორ"-ვაჭარი.

ბ. ლობიძის ნახატი.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ — ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲐ:

მოკავშირენი თუ მეჯოქენი?

ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკა-დასავლეთ ევროპის ურთიერთობა დასავლეთის პრესის ერთ-ერთი წამყვანი თემაა. ოფიციანი გალმა განსაკუთრებით ბევრი იწერება პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციის „ევროპულ პოლიტიკაზე", რომელიც, მის ავტორთა მტკიცებით, ძირეულად განსხვავდება რესპუბლიკელთა პოლიტიკისაგან. „ტრადიციულ მოკავშირეებთან" ურთიერთობის განმტკიცება და „ურთიერთნდობის ატმოსფეროს აღდგენა" ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის დეფაბმად არის რეკლამირებული. ბუნებრივია, რომ თავიდანვე განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა განკუთვნილი ნატოს. „ნატო — ეს არის 350-წლიანი ან შესაძლოა უფრო მეტი ხნის ისტორიული განვითარების შედეგი. ამგვარი ვარეთანობა ძირეულ და არა ხელოვნურ ხასიათს იტარებს", ეკითხულობთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1949 წლის ბიულეტენში.

მართალია, თვით ნატოს შექმნის ფაქტი და ათეული წლების მანძილზე მისი არსებობა მის მფლეურებს თითქოს ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობისა და შინაგანი ჰარმონიის არსებობის მტკიცების საბაბს აძლევს, მაგრამ სინამდვილეში რეალურ ინტეგრაციაზე ლაპარაკი ძნელია. და ეი რატომ...

დავიწყოთ ამ უკანასკნელი მოვლენებით: ნატოს წევრი ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე მდგომ პრობლემათა შორის თავისი აქტუალობით გამოირჩევა ნეიტრონული იარაღის პრობლემა. ნატოს ხელმძღვანელობა, სადაც ამერიკის გავლენა არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, ყოველმხრივ აჩქარებს ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთ ქვეყნებში ამ იარაღის განლაგების თაობაზე. ამ მისიით იმოგზაურა კიდეც ევროპის დედაქალაქებში ამას წინათ კარტერის სპეციალურმა ემისარამ ჩრისტოფერმაც. მაგრამ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება?

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპაში ნეიტრონული იარაღის განლაგების საკითხი განხილული იყო გასული წლის შემოდგომასა და ზამთრის ნატოს თათბირებზე. ამავე პრობლემას მიეძღვნა 1977 წლის ოქტომბერში ე. წ. ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის თათბირიც, რომელიც იტალიის ქ. ბარიში გაიმართა.

აღნიშნულ თათბირებზე ვაშინგტონი ცდილობდა დასავლეთ ევროპელი პარტნიორები დაერწმუნებინა, თითქოს უპირველეს ყოვლისა მათთვის იყოს ხელსაყრელი ნეიტრონული იარაღი, რომელიც განამტკიცებს „ბირთვული შეკავების" ფაქტორს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ არგუმენტმა კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა შეაშფოთა დასავლეთ ევროპის როგორც ფართო საზოგადოებრიობა, ისე პოლიტიკური წრეებიც. ისინი ამ არგუმენტის მიღმა ხედავენ ნატოს ხელმძღვანელობის მისწრაფებას საერთოდ წაშალოს ზღვარი ჩვეულებრივსა და ბირთვულ იარაღს შორის. დასავლეთევროპელთა შეშფოთებას იწვევს ის პერსპექტივაც, რომ ნეიტრონულ იარაღს ევროპაში მხოლოდ თავდაცვით ფუნქციებს არ უგეგმავენ. დიდი რეზონანსი გამოიწვია ნატოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გენერალ შულცის განცხადებამ, რომ „საკუთარი ტერიტორიის დაცვა საქართა რაც შეიძლება შორს აღმოსავლეთით". ამ განცხადებამ კიდევ უფრო დააფრთხო დასავლეთევროპელები, რომლებიც შიშობენ, რომ „წვინდა" იარაღის ცდუნებას აყოლილმა ნატოს გენერალიტეტმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ევროპის ბედს, რასაც კონფლიქტის სტრატეგიულ ბირთვულ ომში გადაზრდა მოჰყვებოდა. ამიტომ იყო, რომ როგორც ბარის თათბირზე, ისე ნატოს სბჭოს დეკემბრის სესიაზე, არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებიათ ევროპაში ნეიტრონული იარაღის განლაგების თაობაზე. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერდა, „ვაშინგტონმა ვერ გატეხა ევროპელ მოკავშირეთა წინააღმდეგობა".

ნეიტრონული იარაღის ირგვლივ აგზენილი ამბები, უპირველეს ყოვლისა, ბლოკის წევრებს შორის სერიოზულ უთანხმოებაზე მეტყველებს, ეს კი მარტო საშინაო იარაღი ნატოს არსენალის შეცვლების მოსალოდნელი შედეგების საფრთხით როდი აიხსნება.

დასავლეთევროპელ მოკავშირეთა პოზიციამაც განაპირობა პრეზიდენტის გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის წარმოების დროებით გადადების შესახებ.

დასავლეთში ახლა ბევრს ესმის, რომ ნეიტრონული იარაღი გამაღებული შეიარაღების ახალი სტიმულატორი იქნება. ამავე დროს სამხედრო ხარჯების ზრდა: უამისოდაც კარგა ხანია პარტნიორებს შორის დავის საგნად იქცა. მართალია, 1977 წლის მაისში ნატოს სბჭოს ლონდონის უმაღლესი დონის სესიამ გაშინგტონის კატეგორიული მოთხოვნილებებსა და ეკონომიკურ წინაალმდეგობებს „მესამე სამყაროში". საქმე ეხება შედარებით ახალი, მზარდი და ძალები". ფორმალურადაც და ფაქტიურადაც დასავლეთ ევროპა დღეს ჯერ კიდევ დამოკიდებულია შეერთებულ შტატებზე როგორც ეკონომიკის, ისე პოლიტიკის დარგებში, მით უმეტეს სამხედრო სფეროში. მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საერთო განვითარების ტენდენცია და აქედან გამომდინარე პერსპექტივაც. ამ მხრივ საყურადღებოა ეკონომიკური ურთიერთობა სფერო.

კაპიტალისტურ სამყაროში ამჟამად მძიმეარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში შეერთებული შტატები, რომელსაც დასავლეთ ევროპაზე უფრო მძლავრი ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზა აქვს, უკეთეს „პირობებში აღმოჩნდა. ორი დევალვაციით შემცირებულმა დოლარის კურსმა ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობა გაზარდა. სამინაო მოთხოვნილების შემცირებამ იმპორტის შემცირება გამოიწვია, საბოლოო-ანგარიშით ექსპორტმა საგრძნობლად გადააჭარბა იმპორტს. ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა „საერთო ბაზართან" ვაჭრობისა და ევროპის სახელმწიფოთა ხარჯზე.

ცნობილია, თუ რა ბევრი იწერება უკანასკნელ პერიოდში ამერიკა-დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ წინააღმდეგობებზე „მესამე სამყაროში". საქმე ეხება ნატოს შეიარაღებული ფორმალურადაც და ფაქტიურადაც დასავლეთ ევროპა დღეს ჯერ კიდევ დამოკიდებულია შეერთებულ შტატებზე როგორც ეკონომიკის, ისე პოლიტიკის დარგებში, მით უმეტეს სამხედრო სფეროში. მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საერთო განვითარების ტენდენცია და აქედან გამომდინარე პერსპექტივაც. ამ მხრივ საყურადღებოა ეკონომიკური ურთიერთობა

კაპიტალისტურ სამყაროში ამჟამად მძიმეარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში შეერთებული შტატები, რომელსაც დასავლეთ ევროპაზე უფრო მძლავრი ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზა აქვს, უკეთეს „პირობებში აღმოჩნდა. ორი დევალვაციით შემცირებულმა დოლარის კურსმა ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობა გაზარდა. სამინაო მოთხოვნილების შემცირებამ იმპორტის შემცირება გამოიწვია, საბოლოო-ანგარიშით ექსპორტმა საგრძნობლად გადააჭარბა იმპორტს. ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა „საერთო ბაზართან" ვაჭრობისა და ევროპის სახელმწიფოთა ხარჯზე.

ცნობილია, თუ რა ბევრი იწერება უკანასკნელ პერიოდში ამერიკა-დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ წინააღმდეგობებზე „მესამე სამყაროში". საქმე ეხება

ᲡᲐᲛᲘᲨᲘᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

„წითელი ბრიგადების" შავბნელი საქმეები

ᲕᲘᲜ ᲐᲚᲕᲘᲕᲔᲑᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ტერორიზმი, სამწუხაროდ, იტალიის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მაგრამ თუ წინათ ქვაფენილზე დაღვრილი სისხლი ფაშისტთა უძლურებით გამოწვეულ გაატფორებას მოასწავებდა, ახლა მათ უარყოფის საბაბი გაუჩნდათ. — ხომ ხედავთ, — თავს იმართლებენ ნეოფაშისტები, — განა ნამდვილი ტერორისტები ჩვენ ვართ? მაშ „წითელი ბრიგადები" ვინღა არიან?

„წითელი ბრიგადები", ვინ არიან ისინი?

„ბრიგადების" თავისი ისტორია აქვს — შფოთიანი და ტრაგიკული პროვოკაციების მთელი ჯაჭვი. პირველად მათ თავი გამოაცხადეს 1970 წლის 17 სექტემბერს, როცა ორი ბომბი აფეთქეს. 1972 წელს ჩაიდინეს პირველი ხანმოკლე, ოცწუთიანი გატაცება, რაც თავისებური ძალის მოსინჯვა იყო. შემდეგ — კიდნეპინგი, ქუჩაში ატეხილი სროლა, მკვლელობანი. თითოეული ახალი დანაშაული, სამიზნის არჩევა, პროვოკაციების ჩადენის კალენდარი განამტკიცებდა რწმენას, რომ „ბრიგადების" მოქმედებაში გარკვეული კანონზომიერებაა. ისინი პოლიტიკურ სცენაზე ყოველთვის მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, როცა ქვეყანა მზად იყო შეგნებულად გადაედგა ნაბიჯი მარცხნივ. ასე იყო 1975 წელს, 1976 წელს და ამჟამად, 1978 წელს.

თითქმის ორ თვეს გრძელდებოდა ალდო მოროს პოლიტიკური და ადამიანური დრამა, ყველამ იცის, თუ რატომ გაიტაცეს სწორედ იგი, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, და მაინც დამაინც 1978 წლის 16 მარტის ცხრა საათსა და ხუთ წუთზე. იმ დილით ალდო მორო პარლამენტში უნდა გამოსულიყო და უნდა ეთქვა, რომ მთავრობის კრიზისი, ორ თვეს რომ გრძელდებოდა, დამთავრდა, რომ კრიზისიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო, თუ კომუნისტური პარტია არ მიიღებდა მონაწილეობას, რომ თცდაათწლიანი „შესვენების" შემდეგ კომუნისტები „ხელისუფლების სფეროში" დაბრუნდნენ — პარლამენტის უმრავლესობაში შევიდნენ. თვით მორომ, საღი გონების მქონე და გამოცდილმა პოლიტიკოსმა მოღვაწემ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომუნისტებთან კონტაქტების დამყარებაში.

ისინი, ვინც იმ დილით რომში ტყვია ისროლა, კომუნისტებთან დიალოგის ამ პოლიტიკას უმიზნებდა.

მარტო ერთი მოროს მოკვლის ფაქტიც კი საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ გაჰყვირიან „ბრიგადები": „ყველა დონეს ვიხმართ, რომ კომუნისტები ხელისუფლებას არ გავაკაროთ!" როგორც ჩანს, „ბრიგადები" კომუნისტური პარტიის მტრების ინტერესების გზაჯვარედინზე დაიბადნენ.

იტალიაში მემარცხენე დაჯგუფებების სქემა რომ დავსახოთ, ცხადი გახდება, რომ მაოისმის ფესვებიდან სამოცდაოთხ წლის ამბოხების მეშვეობით სადღეისოდ წამოიზარდა სხვადასხვა მიმდინარეობის ტოტები, „წითელი ბრიგადების" ტოტი მარჯვნივ მიემართება, მაგრამ არ სცილდება მაცოცხლებელი წყაროს. „ბრიგადებს" ზურგი სჭირდებათ: „ბრიგადისტები" თავზეხელაღებულ და სულსწრაფ ახალგაზრდებს შორის პოულობენ თანაგრძნობასა და პოტენციურ რეზერვს.

„ტერორიზმი პოლიტიკის გაგრძელებად იქცევა" — ასე აფასებს იტალიის ამბავს ბრაიან ჯენკინსი, რომელსაც ახლა საზოგადოებრიობის თვალში ხატავენ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორიზმის თეორიის უდიდეს სპეციალისტს. „სამხედრო კონფლიქტები, — ამბობს იგი, — სულ უფრო ძვირად ღირებული და სარისკო საქმე ხდება. ამიტომ მთავრობები ამჯობინებენ ქვეყნის დამარცხებას ან ყოველ შემთხვევაში მის დასუსტებას ქვეყნის შიგნით ძირგამომთხრელი საქმიანობის გაჩაღებით".

ეს სიტყვები ძალაუნებურად ამერიკისკენ მიგახედებთ, იმიტომ, რომ ყველას კარგად ახსოვს დიპლომატიური უხეშობა, რომელიც კარტერის ადმინისტრაციამ მიმდინარე წლის დამდეგს ჩაიდინა იტალიის მიმართ. მაშინ ქვეყანაში დაიწყო მთავრობის კრიზისი. საკითხი ეხებოდა არა მარტო მთავრობის ერთი კაბინეტის მეორეთი შეცვლას, არამედ სახელმწიფო მოღვაწეობის პრინციპებსა და მიზნებს. და ცხადი გახდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობის გარდა სხვა გამოსავალი არ იყო. სახელმწიფო დეპარტამენტმა მაშინ მკაცრი ნოტით უპასუხა: არავითარი დიალოგი კომუნისტებთან. იტალიის კომუნისტები, ვაშინგტონის აზრით, მხოლოდ ოპოზიციაში უნდა დარჩენილიყვნენ.

მაგრამ მოროს გატაცების ამბავთან შეერთებულ შტატებს არავითარი ხელი არა აქვსო, ამტკიცებს სხვა ამერიკელი ექსპერტი, პროფესორი ლეონინ ლუმპენიც, რომელიც ცენტრიდან. და იმველიებს, მისი აზრით, უცილობელ არგუმენტს: „დღეკანდელ იტალია ალიენდეს ჩილე როდია. იქ სოციალისტური რეჟიმი არ არის, დესტაბილება რომ იყოს საჭიროო".

ყოველთვის, რიცა დემოკრატიას თაოს ესხმიან, იტალიაში ჩილეს იხსენებენ. ცხადია, იტალია ჩილე არ არის. სულ სხვა ისტორიული გზაა და პოლიტიკური ძალების განლაგებაც სხვადასხვაგვარია. მაგრამ განა მარტო ეს საკმარისია? საბერძნეთსაც ხომ არასოდეს უწოდებდნენ ჩილეს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მემარჯვენეები ჯერ კიდევ ძლიერნი არიან. ისინი ნეოფაშისტური ორგანიზაციების მარტო აშკარა, პარტიული შესატანების ჯადამდელი წევრები როდი არიან. პოტენციური ფაშისტი — ეს არის ქარხნის მფლობელი, რომელსაც მისი დაკარგვისა ეშინია. ეს არის ზვრილი ვაჭარი, რომელსაც ყოველგვარი გარდაქმნები აშინებს, ეს არის თავზეხელაღებული ლუმპენიც, რომელიც შეიძლება დაარწმუნო, რომ ნაპოლეონები დღესაც იბადებიან.

ტერორის ხელი სწვდება მათ, ვინც ამ ადამიანებს, ხოლო „ბრიგადები" უფრო ხმამაღლა გაიძახიან: ჩვენ „წითლები" ვართ, ჩვენ პროლეტარიატის დამცველები ვართო! სავსებით საკმარისია, რომ დაშინებულმა მდაბიომ, პოლიტიკურმა დალტონიზმა ტოლობის ნიშანი დასვას ტერორიზმსა და კომუნიზმს შორის.

Ვ. ᲢᲠᲣᲜᲝᲕᲘ,
(ახალი ამბების საგენტო).

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ბონი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მშვიდობის, თ

მკითხველი ელის პასუხს

„ბორჯომი“ კრიტიკული გამოსვლების ძმედთოგბისათვის ბრძოლაში

ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერებისა და მართვადობის ალდგენისათვის დაწყებული საშვილიშვილო საქმის ბოლომდი მიყვანაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ რაიონულ გაზეთებს.

ამ მიმართულებით საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონსაბჭოს აღმასკომის ორგანოს „ბორჯომს“ დარეკილი მუშობა აქვს გაწეული. იგი სრულ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენომის, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VIII პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, თანდათან აძლიერებს ბრძოლას ყოველგვარ დარღვევათა, განსაკუთრებით ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამასთან ყოველ კრიტიკულ გამოსვლაზე ცდილობს მიაღწიოს ქმედითობას, სათანადო რეაგირებას.

ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან გაზეთი არაერთხელ დაუბრუნდა მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალას. გაზეთს შემოღებული აქვს რუბრიკები „ბორჯომის“ კრიტიკული გამოსვლის შედეგ“, „წერილი არ დაბეჭდილა. მაგრამ...“ „ვუბრუნდებით დაბეჭდილს“; „წერილი „ბორჯომარით“ და სხვ., სადაც ქვეყნდება გამოხმაურებები. გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ თვეებში გამოქვეყნებულ და გამოქვეყნებულ გადავზავნილ წერილებზე გაზეთის მიღებული 115 პასუხი. პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მათგანის მიხედვით ბევრი საკითხი გადაწყდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთის კრიტიკულ გამოსვლებზე ყოველთვის სათანადოდ როდი რეაგირებენ შესაბამისი ორგანიზაციები.

